4283/3-26/21 2 13052021

4283/3-26/21
13-05-2021

ქალაქ ბათუმის მერის
მოვალეობის შემსრულებელს
ბ-ნ არჩილ ჩიქოვანს

ბატონო არჩილ,

რამდენადაც ცნობილია უკვე რამდენჯერმე ჩაიშალა ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავებაზე გამოცხადებული კონკურსი. თუ შეგიძლიათ მაცნობოთ რა გახდა ბოლოს კონკურსის ჩაშლის მიზეზი?

გთხოვთ, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, ამავე მუხლით დადგენილ ვადაში მომაწოდოთ ზემოხსენებული ინფორმაცია.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ალექსანდრე ელისაშვილი

წერილის ნომერი: **14-1421140164**
თარიღი: **20/05/2021**
პინი: **5885**

ადრესატი: საქართველოს პარლამენტი

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ბატონ ალექსანდრე ელისაშვილს

ბატონო ალექსანდრე,

თქვენი მიმდინარე წლის 13 მაისის N4283/3-26/21 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარებისა და განაშენიანების მართვის დოკუმენტის შემუშავების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის კონკურსი, (CNT200000041) საკონკურსო კომისიის მიერ საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა/დამტკიცების შემდგომ გამოცხადდა 2020 წლის 23 ოქტომბერს. კონკურსის გამოცხადების შემდგომ (შერჩევა-შეფასების ეტაპზე) კომისის ცალკული წევრები რომლებიც პროფესიული ნიშნით მოწვეული იყვნენ და მონაწილეობდენ ზემოაღნიშნულ კომისიის საქმიანობაში, გამოაკლდნენ კომისიას, კერძოდ:

მოწვეული ექსპერტების ორმა წევრმა პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა საკონკურსო კომისია, საკონკურსო კომისიის 3 წევრს ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის თანამშრომლებს, კონკურსის მიმდინარეობის ეტაპზე დაუდასტურდათ კოვიდ ინფექცია, შესაბამისად ვერ მოხერხდა მათი სრულყოფილი ჩართვა შერჩევა-შეფასების ეტაპზე კომისიის საქმიანობაში. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე კონკურსის მიმდინარეობის ეტაპზე ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური, შერჩევა-შეფასების ეტაპზე წარმოდგენილი იყო მხოლოდ 1 წევრით, ასევე კომისიის პროფესიული ნიშნით მოწვეული 4 წევრი არსებული კოვიდ შეზღუდვების გამო ვერ ახერხებდნენ სრულფასოვნად ჩართვას კონკურსის შერჩევა-შეფასების ეტაპზე კომისიის საქმიანობაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარებისა და განაშენიანების მართვის დოკუმენტის შემუშავების შერჩევა-შეფასების ეტაპზე კომისიის 17 წევრიდან, უმრავლესობა დარგის პროფესიული კვალიფიკაციის მქონე 9 წევრი ძირითადად ვერ ღებულობდა მონაწილეობას კომისიის საქმიანობაში (რაც წარმოადგენდა საკვანძო აუცილებლობას შერჩევა-შეფასების საფუძვლიანად და სრულყოფილად განხორციელებისათვის), ხოლო დარჩენილი 8 წევრიდან უმრავლესობა არ წარმოადგენდა შესაბამისი დარგის სპეციალისტებს და იყვნენ სხვა-

დასხვა მიმართულების საჯარო მოსამსახურეები.

გარდა აღნიშნულისა შერჩევა-შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი გარემოებების გათვალისწინებით ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებიდან გამომდინარე მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, განხორციელებულიყო საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრული ცალკეული მოთხოვნების დაზუსტება.

ზემოაღნიშნული გარემოებების, განხილვისა და ანალიზის საფუძველზე საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით შეწყდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებული, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სივრცითი განვითარებისა და განაშენიანების მართვის დოკუმენტის შემუშავების (CTN200000041) კონკურსი.

პატივისცემით,

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი (დროებით მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

6010. ლუკა ასათიანის ქ.N25. ტელ: 0 (422) 27 26 26. ფაქსი: 0 (422) 27 26 01
6010. N25, Luka Asatiani str., ph: +995 (422) 27 26 26. Fax: + 995 (422) 27 26 01. E-mail: info@batumi.ge